# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 363

"29" სექტემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

**2016 წლის 19 აპრილს შპს ,,ალმა ტრანსპორტსა'' (ს/კ: 405142821) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N160405188) ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ალმა"-ს (ს/კ: 204873388) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "2016 წლის 19 აპრილს შპს ,,ალმა ტრანსპორტსა'' (ს/კ 405142821) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №160405188) ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ალმა"-ს (ს/კ 204873388) გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 20 სექტემბრის №35.10.676 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმა ტრანსპორტს" (ს/კ: 405142821) შორის 2016 წლის 19 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №160405188) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის 2.1.1, 2.1.3 და 2.1.9 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/ დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.6 და 3.7 პუნქტების შესაბამისად, 2017 წლის 18 ოქტომბრიდან - 2018 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან შპს „ალმა"-ს (ს/კ: 204873388) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი